

**გლობალური კომპიუტერული ქსელის სატრანზიტო კვანძებში ჭარბი  
პაკეტების შეყოვნების დროითი ხანგრძლივობის განსაზღვრისა და  
რატიონალური გადაცემების მართვის მეთოდები**

ნინო ნატროშვილი, ნატალია გაბაშვილი, ალექსანდრე რობიტაშვილი,  
ოთარ ნატროშვილი

**რეზიუმე**

განხილულია გლობალური კომპიუტერული ქსელის გადატვირთულ რეჟიმებში მუშაობისას გადასაცემი ჭარბი პაკეტების შეყოვნების დროითი ხანგრძლივობების განსაზღვრის ეფექტური მეთოდები და საშუალებები. შემოთავაზებულია პიკის საათებში ქსელის სატრანზიტო კომუტატორების ინტერფეისებში დაგროვილი კლიენტ-სერვერული პაკეტების ბუფერულ მეხსიერებაში ოპტიმალური განაწილების მართვითი პროცედურების აზალი მიღებები.

**საკანბო სიტყვები:** გლობალური კომპიუტერული ქსელი, ჭარბი პაკეტები, დროითი ხანგრძლივობების განსაზღვრა, მეხსიერებაში ოპტიმალური განაწილებების მართვა.

**1. შესავალი**

კომპიუტერული ქსელების გლობალური გაერთიანებისას პისტის ერთ მხარეზე მდებარე სერვერული კომპიუტერებიდან მეორე მხარეზე მყოფ მიმღების (კლიენტის) კომპიუტერებამდე პაკეტებს გადაცემისას უხდებათ მრავალრიცხვანი შუალედური სატრანზიტო-საკომუნიკაციო კვანძების გავლა. ცხადია, ასეთი კვანძების რაოდენობა მომზრუტის გზაზე რაც უფრო დიდია, მით უფრო მეტი დროა საჭირო პაკეტების მომხმარებლამდე მისატანად (ე.ი. მათი ელექტრონული ტრანსპორტირებისათვის). ცხადია, თუ რომელიმე სატრანზიტო მონაკვეთში პაკეტების დროულად გავლას შეექმნა რაიმე დაბრკოლება, ეს ქმნის დამატებით პრობლემებს მათ დროულ გადაცემებში. ერთ-ერთ ასეთ დაბრკოლებას წარმოადგენს სატრანზიტო კვანძების ინტერფეისებში (კვანძების შემავალ პორტებზე) ჭარბი პაკეტების დაგროვება, რომელიც სხვა მიზეზების გარდა (მაგალითად, დაბალისიჩქარიანი კომუტატორების არსებობა ტრანზიტულ მონაკვეთებში), გამოწვეულია სერვისული “მოთხოვნა-პასუხების” შემცველი პაკეტებისა და თვით სატრანზიტო კვანძების გლობალურ ქსელში უაღრესად დიდი რაოდენობის გამო (განსაკუთრებით სერვისის მიმწოდებელი სერვერებისა და მათი მომხმარებლების-კლიენტების გეოგრაფიულად ერთმანეთისაგან გლობალური მანძილებით დაშორებული შეერთებების დროს, მათ შორის SDH სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევებშიც).

აღბათობა (პაკეტების გადაცემებში დაგვიანების) უფრო იზრდება და იგი ძალზე შესამჩნევი ხდება (სერვისული პაკეტების მიღება-ჩაბარების დროითი ხანგრძლივობის თვალსაზრისით), როდესაც მარშრუტის გზაზე შემხვედრ რომელიმე სატრანზიტო კვანძში (ან კვანძებში) ადგილი აქვს გადასაცემი პაკეტების დიდი სიმრავლის (სიჭარბის) წარმოქმნას, ანუ მათ დაგროვებას სატრანზიტო კვანძის ინტერფეისებში, მაგალითად, მარშრუტიზატორის შემავალ პორტებზე.

ყველასათვის ცხადია, რაც უფრო დრო გადის მით უფრო პოპულარული ხდება ქსელის დახმარებით კომპიუტერული სერვისების მიღება და მოხმარება, რომელთა რაოდენობა დღითი-დღე იზრდება და მრავალფეროვანი ხდება. ეს უკანასკნელი განაპირობებს კომპიუტერული ქსელის მომხმარებელთა რაოდენობის მკვეთრ გაზრდას, რაც თავის მხრივ ამაღლებს ქსელის სატრანზიტო კვანძებში გასანაწილებელი (მომხმარებელთა მისამართების მიხედვით) ნაკადების თავმოყრას, ე.ი. მათი ინტენსიონის მკვეთრ ამაღლებას. პაკეტების დიდი სიმრავლის წარმოქმნას ბოლო პერიოდში (და უახლოეს მომავალში სავარაუდოდ უფრო მწვავედ) ხელს უწყობს ისიც, რომ სერვისის მიმწოდებელ სერვერებთან ტექნიკური თვალსაზრისით შეღწევა (წვდომა) კომპიუტერების გარდა შეუძლიათ მობილური ტელეფონების მფლობელებსაც (იგულისხმება ბოლო თაობის ტელეფონების ტექნიკური შესაძლებლობები), ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, ასეთ ტელეფონებს შეუძლიათ შეითავსონ

ქსელის მუშა სადგურების ფუნქციებიც და მათი დახმარებით განახორციელონ ქსელის სერვისულ (ამჟამად ძირითადად საინჟინრმაციო-საცნობარო) მოწყობილობებთან ურთიერთქმდება. მათი (მობილური ტელეფონების) რაოდენობა კი ცხადია, მსოფლიო მასშტაბით მიღიონობითაა, რაც თავის მხრივ დამატებით ხელს უწყობს გლობალური ქსელის სატრანზიტო კვანძებში ჭარბი დატვირთვების წარმოქმნას. ასევე ცხადია, რომ ჭარბი პაკეტებს თან სდევს გადატვირთულ რეჟიმებში ქსელის მუშაობის მოხვედრის აღბათობის ზრდა [1].

კომპიუტერულ ქსელში ყოველგვარი გადატვირთვები ანელებს სისტემის სწრაფქმედებას. სისტემატიური სახის ამგვარი მდგომარეობის გამო შესამჩნევად ცეცხა მისი წარმადობაც (ამგვარ მიზეზებს შეუძლიათ მისი ნაწილობრივი ან უკიდურეს შემთხვევაში მთლიანი ქსელის პარალიზებაც კი). აქედან გამომდინარე ძალზე აქტუალურ მნიშვნელობას იძენს ყოველგვარ გადატვირთვებთან ბრძოლა. საჭიროა ქსელის მომსახურების უფრო ქმედითი და უფექტური მეთოდების შემუშავება, ვინათან ეს უკანასკნელი (უფექტური ტრანსპორტირების მეთოდები) დიდ გავლენას ახდენს ქსელის მუშაობის სამედოობის ხარისხზეც.

ძალზე მნიშვნელოვანია პაკეტების დიდი სიმრავლების გადაცემა-მიღების მეთოდებსა და ტექნიკურ საშუალებებში ახალი, არსებულთან შედარებით უფრო უფექტური მიღომების შემუშავება. მათ შორისაა სატრანზიტო-საკომუტაციო კვანძებში ჭარბი პაკეტების არა მარტო რაოდენობების დათვლა (ამას წარმატებით ახერხებს, მაგალითად, Novell-ის NCC LANalyzer, ან LANalyzer for Windows ქსელური ანალიზატორები), არამედ მათვის (ანალიზატორებისათვის) ისეთი ფუნქციების მინიჭებაც, როგორიცაა სატრანზიტო კვანძის ინტერფეისებში დაგროვილი ჭარბი პაკეტების დროითი ხანგრძლივობების განსაზღვრა, რომელიც ამჟამად მოქმედ ანალიზატორებს ამგვარი უნარი სამწუხაროდ არ გააჩნიათ. ასევე მეტად მნიშვნელოვანია პრიორიტეტულობის თვალსაზრისით კვანძებიდან ჭარბი პაკეტების უფექტური შენახვა (განსაკუთრებით პიკის საათებში დაგროვილი ჭარბი პაკეტების განთავსება საკომუტაციო კომუტატორების ბუფერულ მეხსიერებაში) და არზებში (კავშირის საკომუნიკაციო ხაზებში) მათი გაცემის რიგითობის (განაწილების) უკეთ რეგულირება-მართვა, ვიდრე ეს დღეს-დღეობით ხერხდება.

ჭარბი პაკეტების სიმრავლის დროითი ხანგრძლივობის განსაზღვრა, მათი წინასწარი განალიზება (ამისათვის საჭიროა ახალი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავება და დაწერგვა ასეთ ანალიზატორებში) და განაწილების დროს მათი მხედველობაში მიღება, უაღრესად დიდ მნიშვნელობას შეიძენს ქსელის მეშვეობით პაკეტების მიღება-გავზანის პროცედურების დაჩქარებაში. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის ზოგიერთ მეთოდებზე და საშუალებებზე გვექნება საუბარი წარმოდგენილი სტატიის მომდევნო, ძირითად ნაწილში.

## 2. ძირითადი ნაწილი

ზემოთ, წარმოდგენილი სტატიის შესავალში, აღნიშნული გვქონდა ის ძირითადი გარემოება, რომლის მიზეზითაც ქსელის მუშაობაში გადატვირთული რეჟიმების წარმოქმნა იწვევს თანმდევ პრობლემებს, მათ შორის ყველაზე მთავარს – მცირდება სისტემის სწრაფქმედება და მკეთრად ცეცხა ქსელის წარმადობა (კერძოდ, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები სერვისების მაგალითისათვის – მცირდება ქსელის მიერ შესრულებული ასეთი სერვისების რაოდენობის მიწოდება მომხმარებლებისაკენ დროის ერთეულში). ამგვარი მოვლენები, როგორც აღნიშნეთ, განსაკუთრებით შესამჩნევია ქსელის დატვირთვის პიკის საათებში.

პაკეტების ჩაბარების დრო გამგზავნიდან მიმღებამდე განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებიდან:

$$T_{\text{გამ}} = \sum_{k=1}^n t_k \left( \frac{1}{V_{\min}} + \frac{1}{N_k V_{\max}} \right) \quad (1)$$

სადაც  $V_{\min}$ ,  $V_{\max}$  - ქსელის სატრანზიტო კვანძებს შორის პაკეტების გადაცემისათვის საჭირო სიგნალების შესაბამისად მინიმალური და მაქსიმალური სიჩქარეებია;

- $N_k$  - პაკეტების შემცველი დეიტაგრამების რაოდენობა;
- $N$  - სატრანზიტო კვანძების რაოდენობა ქსელში, რომელთა გავლითაც პაკეტი მიაღწევს მომხმარებლამდე;
- $t_k$  - სატრანზიტო კვანძებს შორის საკომუნიკაციო ხაზებში პაკეტების გავლის დროითი ხანგრძლივობა;
- $K$  - სატრანზიტო არხების რაოდენობა წყარო-კომპიუტერიდან მიმღებ კომპიუტერამდე.
- ცხადია, მარტივი შემთხვევისათვის, თუ ადგილი აქვს  $N_k = 1$ , მაშინ პაკეტი გადაიცემა ერთჯერადად და სრულად, ხოლო თუ  $N_k \neq 1$ , მაშინ ადგილი აქვს პაკეტის შემცველი ცალკეული ნაწილების გადაცემას (მათ შორის გადაცემას სხვადასხვა კვანძის კომუტაციით).
- (1) გამოსახულებიდან ცხადად ჩანს, რომ პაკეტების ჩაბარების  $T_{\text{ჩა}}$  - დრო დოდადაა დამოკიდებული მარშრუტის საკომუტაციო გზაზე არსებული სატრანზიტო კვანძების, როგორც რაოდენობაზე ( $N$ -ზე), ისე ამ კვანძებზე პაკეტის გავლის დროით ხანგრძლივობაზე ( $t_k$ ), რომელზედაც უშუალო გავლენას ახდენს კვანძში (კვანძებში) პაკეტების შეყოვნების დროითი ხანგრძლივობები.


როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ქსელური ანალიზატორების შემუშავებას, რომლებიც სატრანზიტო კვანძების ჭარბი პაკეტებით დატვირთვებისას განსაზღვრავენ არა მარტო კვანძის შემავალ ინტერფეისში დაგროვილი პაკეტების რაოდენობას (როგორც შევნიშნეთ ქსელის მუშაობის პიკის საათებში ჭარბი დატვირთვების დროს), ისე ამ ჭარბი პაკეტების სატრანზიტო კვანძში (კვანძებში) მათი შეყოვნების დროის ხანგრძლივობასაც (მათ შორის ჭარბი პაკეტების შეყოვნების ჯამურ ხანგრძლივობასაც). ამ მიზნით [2]-ში შემუშავებულია სპეციალიზებული ოპტოელექტრონული ანალიზატორი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა (იმ ფუნქციების გარდა, რომელიც მდგომარეობს კვანძის ინტერფეისებზე მიწოდებული ჭარბი პაკეტების რაოდენობის დათვლასთან), აგრეთვე, ჭარბი პაკეტების დროითი ხანგრძლივობების განსაზღვრა და ამ პარამეტრის გათვალისწინება კომპიუტერული ტრაფიკის მართვაში, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ტრაფიკის პულსაციების რეგულირებას [3].

ოპტოელექტრონულ ანალიზატორის უნდა გააჩნდეს ჭარბი პაკეტების დეიტაგრამების დროითი ხანგრძლივობების განსაზღვრის მოწყობილობები, მათ შორის პაკეტების დროითი ხანგრძლივობების ურთიერთ შედარებისა (მეტ-ნაკლებობაზე) და შემკრები (ამჯამავი) მოწყობილობებიც (ამათ გარდა “ინტელექტუალურ” ანალიზატორებს უნდა გააჩნდეთ სხვა ოპტორაციული მოწყობილობებიც, რომლებიც წარმოდგენილ სტატიაში არ არის განხილული).

ოპტოელექტრონული ამჯამავი მოწყობილობის ერთ-ერთი სტრუქტურული ვარიანტი ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე. მასში გამოყენებულია ოპტოელექტრონულ პრინციპზე და ელემენტებზე აგებული მრავალფუნქციონალური მოდულები, რომლებიც შედგებიან რეგენერაციულ რეჟიმში მომუშავე ოპტორონებისაგან. ისინი ამჯამავში გაერთიანებული არიან რეგისტრების (ერთეული, ათეული, ასეული და ა.შ.) სახით, რომლებიც ახდენს ჭარბ პაკეტებში შემავალი დეიტაგრამების მატრაცებელი ოპტიკური სიგნალების დროითი ხანგრძლივობების დაფიქსირებას და აჯამვას საანდიკაციო ფუნქციებთან ერთად (ეს რეგისტრები მრავალფუნქციონალური ოპტოელექტრონული მოდულებია (მზომე)).

ამ ნახაზზე წარმოდგენილი ამჯამავი ოპტიკური სიგნალების დროით ხანგრძლივობებს აფიქსირებს ათობითი ოკლის პოზიციურ სისტემაში. ოპტიკური სიგნალები (უფრო ზუსტად, ოპტიკური სიგნალების დროითი ხანგრძლივობები) მიეწოდება ამჯამავის ყველაზე უმცროს პირველ თანრიგს, რომლის ოპტორონებიც აფიქსირებენ დროით ხანგრძლივობებს ათობითი ციფრებით (1-დან 9-მდე). ამასთან, თუ დროითი ხანგრძლივობა გადავსებს პირველ თანრიგს (ე.ი. აღემატება აღგზნებული ოპტორონების 9-ზე მეტ რაოდენობას), მაშინ გადატანის წრფი აღაგზნებს უფროსი თანრიგის (ე.ი ამჯამავის მეორე, ათობითი რეგისტრის) პირველ ოპტორონს, გაანულებს რა იმავ დროულად პირველ თანრიგში შემავალ ყველა ოპტორონს. ამგვარად, ამჯამავი დააფიქსირებს შესასვლელზე მიწოდებული ოპტიკური სიგნალის დროითი ხანგრძლივობის ამსახველ ათობით სიდიდეს 10-ს და ა.შ. დროითი

სანგრძლივობების დაფიქსირების ამგვარი პროცედურები გრძელდება პაკეტის დროითი ხანგრძლივობის დამთავრებამდე.



6ახ.1

მაგალითისათვის კვლავ აღვნიშნოთ შემდეგი მდგომარეობა: თუ პირველი მოდულის შესასვლელზე მოქმედი ოპტიკური სიგნალის დროითი ხანგრძლივობა აღმატება 10-ს (მაგალითად, 10 ნანოწამს, თუ ერთი ოპტრონის სწრაფულება დაუშვათ არის 1 ნანოწ-ი), და ვთქვათ შეადგენს 12 ნანოწამს, მაშინ ამ პაკეტის (ან დეიტაგრამის) დროითი ხანგრძლივობის გაზომვის დამთავრებისას მისი ოპტიკური სიგნალის ამჯამავის შესასვლელზე მიწოდების შემდეგ ათეულოვან (მეორე) რეგისტრში აგზნებული დარჩება პირველი ოპტრონი (რომელიც ასახავს ციფრ 10-ს ათობითი თვლის სისტემაში), ხოლო ერთეულოვან რეგისტრში (მცოდვებ-ში) აგზნებული დარჩება 2 ოპტრონი. ამჯამავი დააფიქსირებს ათობით ორთანრიგა ციფრს 12-ს, რომელიც ადექვატურია 12 ნანოწამის დროითი ხანგრძლივობის და კიდევ, თუ მაგალითად, დეიტაგრამის დროით ხანგრძლივობა აღემატება სიდიდეს 19-ს (რაც ადექვატურია ამჯამავის იმ მდგომარეობის, როცა აგზნებულია მეორე თანრიგის პირველი ოპტრონი, ხოლო ერთეულოვან რეგისტრში (მცოდვებ-ში)-ცხრავე ოპტრონი). დროითი ხანგრძლივობის შემდგომი გაზრდის დროს (მაგალითად 30-მდე სიდიდის) ამჯამავში აღიგზნება პირველი ოპტრონი მესამე თანრიგში, განულდება რა იმავ დროს ყველა ოპტრონი პირველ ერთეულოვან რეგისტრში და ამჯამავი დააფიქსირებს 30 ნანოწამის დროით ხანგრძლივობას. ანალოგიურად შეიძლება გაზომოს სხვა ჭარბი პაკეტიც (პაკეტებიც).

პიკის საათებში ჭარბი პაკეტების (დეიტაგრამების) ბუფერში ეფექტური განთავსებისათვის, კომუტატორის საჭირო მეხსიერების მოცულობის გამოთვლას ოპტოელექტრონული ანალიზატორი აწარმოებს შემდეგი მმართველი ალგორითმის მიხედვით:

**ბიჯი-1.** ანალიზატორი დაითვლის კვანძის შესასვლელ ინტერფეისში დაგროვილი ჭარბი პაკეტების საერთო რაოდენობას და დააფიქსირებს ამ რაოდენობას საწყისი მთვლელის რეგისტრით.

**ბიჯი-2.** ინტერფეისში დაგროვილი ჭარბი პაკეტების რაოდენობიდან ანალიზატორის ოპტოელექტრონული მოწყობილობა (პროცესორი) ამორჩევს ისეთ პაკეტს (ან პაკეტებს), რომლებსაც გააჩნიათ ყველაზე ნაკლები (და ერთნაირი მნიშვნელობის) დროითი ხანგრძლივობა. მარტივად რომ ვთქვათ, ამ ჭარბი პაკეტებიდან შეარჩევს ყველაზე მოკლეს, რაც ადექტატურია ასეთი მოკლე პაკეტის (პაკეტების) შემცვლელი დეიტაგრამების რიცხვს.

**ბიჯი-3.** მოკლე პაკეტის დეიტაგრამების რიცხვს ამრავლებს საწყისი ჭარბი პაკეტების (საწყის სიმრავლეში) საერთო რაოდენობაზე და მიღებული ნამრავლი პირველი შესაკრების სახით შეაქს ანალიზატორის დამგროვებელ ამჯამავში. ეს ნამრავლი განსაზღვრავს ბუფერული მეხსიერების პირველი ზონის მოცულობასაც.

**ბიჯი-4.** ჭარბი პაკეტების საწყის სიმრავლეში შემავალ თითოეული პაკეტის ზომას ანალიზატორი გამოაკლებს მოკლე პაკეტის ზომას (ე.ი. მოკლე პაკეტის შემცველი დეიტაგრამების რაოდენობას) და ამგვარი გზით მიღებული თითოეული პაკეტის სხვაობებით ქმნის (აფორმირებს) ჭარბი პაკეტების მეორე სიმრავლეს და ა.შ.

**ბიჯი-5.** მომდევნო ციკლში მნიშვნელობების ფორმირებისათვის ანალიზატორის 1-4 პროცედურები ციკლურად მეორდება მანამ, სანამ ბოლო სიმრავლეში (ჭარბი პაკეტების ბოლო სიმრავლეში) არ დარჩება 0 ან მხოლოდ ერთი ჭარბი პაკეტი მაინც, რომლის მნიშვნელობაც როგორც ბოლო შესაკრები, შეიტანება ანალიზატორის დამგროვებელ ამჯამავში.

**ბიჯი-6.** ანალიზატორის დამგროვებელი ამჯამავის გამოსასვლელზე ავტომატურად ფორმირდება ჭარბი პაკეტების ჯამური ხანგრძლივობები, ამასთან დამგროვებელ ამჯამავში შესაკრების სახით ნამრავლის რაოდენობა მიუთითებს ბუფერის მეხსიერების სივრცეში შემავალ იმ ზონების ზუსტ რაოდენობას (ანუ საჭირო მეხსიერების მოცულობას), სადაც უნდა განთავსდნენ სატრანზიტო კვანძში დაგროვილი ჭარბი პაკეტების დეიტაგრამები.

**ბიჯი-7.** აღნიშნულ ბიჯში სრულდება ჭარბი პაკეტების საკონტროლო ოპერაციები, რომლებიც ენება სატრანზიტო კომუტატორის ბუფერულ მეხსიერებაში მათ კონკრეტულ განთავსებას, ან ამ მეხსიერებიდან პაკეტების სწორ გადაცემას სატრანზიტო კვანძის გამომავალ ინტერფეისზე. კონტროლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბიჯი 1-ზე ფორმირებული (ე.ი. საწყისი მთვლელის გამომავალ ინტერფეისზე) მნიშვნელობა აუცილებლივ უნდა დაემთხვას დამგროვებელი ამჯამავის გამოსასვლელზე ავტომატურად ფორმირებული ჯამის მნიშვნელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ანალიზატორი გამოსცემს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ ადგილი აქვს ჭარბი პაკეტების არასწორ (არაკორექტულ) განაწილებას ან სატრანზიტო კვანძიდან რომელიმე ჭარბი პაკეტის (პაკეტების) დაკარგვას, რის შემდეგაც მეორდება მისი განმეორებითი გადაცემისა და კონტროლის პროცედურები.

### 3. დასკვნა

გლობალური კომპიუტერული ქსელის სატრანზიტო-საკომუტაციო კვანძებში ჭარბი პაკეტების დროითი ხანგრძლივობების განსაზღვრისა და მათი შენახვა-გადაცემის მართვის ახალი მეთოდების შემუშავებას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. საკონტროლო პროცედურების მართვაში სპეციალიზირებული ოპტოელექტრონული ანალიზატორის გამოყენებას დიდი როლი ეკისრება, რაც განაპირობებს მისი გამოყენების პერსპექტიულობას მომავალი თაობის კომპიუტერულ ქსელურ სისტემებში.

**ლიტერატურა:**

1. ნატროშვილი ნ., ჯაყული გ., ნატროშვილი ო. ქსელის მუშაობის გადატვირთული რეჟიმების ანალიზი და მათი აღმოფხვრის ეფექტური მეთოდები. სტუ-ს შრ. კრებული მას № 1(8), 2010
2. Натрошили О.Г., Прангивили А.И., Натрошили Н.О Оптоэлектронный анализатор для управления избыточными пакетами, накопленными в пиковые моменты перегрузки компьютерных сетей. OPTOELECTRONIC INFORMATION-POWER TECHNOLOGIES. №1 (19), 2010
3. Натрошили О.Г., Габашвили Н.В., Робиташвили Г.А. Методы регулирования трафика компьютерных сетей в условиях “пульсации” информационными потоками высокой интенсивности. GEN №2, 2005.

**THE MEASURMENT METHODS AND TOOLS OF THE EXCESS PACKAGES TRANSFER RATE DELAY IN THE OVERLOADED GLOBAL NETWORK**

Natroshvili Nino, Gabashvili Natalia, Robitashvili Alexander,  
Natroshvili Otar  
Georgian Technical University

**Summary**

The article deals with the effective methods and means to determine the delay length of excess transferred packages in the overloaded global network regime. The new management methods are offered for optimal distribution controlling procedures in the client-server packages buffer memory stored in the network transit client-server interfaces during the rush hours.

**МЕТОДЫ ОПРЕДЕЛЕНИЯ ВРЕМЕННОЙ ДЛИТЕЛЬНОСТИ ЗАДЕРЖКИ И УПРАВЛЕНИЯ ОПТИМАЛЬНЫМИ ПЕРЕДАЧАМИ ИЗБЫТОЧНЫХ ПАКЕТОВ В ТРАНЗИТНЫХ УЗЛАХ ГЛОБАЛЬНОЙ КОМПЬЮТЕРНОЙ СЕТИ**

Натрошили Н., Габашвили Н., Робиташвили А.,  
Натрошили О.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассмотрены эффективные методы и средства определения временных длительностей задержки передаваемых избыточных пакетов при работе глобальной сети в перегруженных режимах. Предложены новые подходы управления оптимальными передачами накопленных в пиковые часы в интерфейсах коммутационных узлов клиент-серверных пакетов.